წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გრიგოლ იოსელიანს

მოქ. ავთანდილ დვალიშვილის
პირადი N60001149994
მცხ. ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N46

გაცნობებთ რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას და ჩემს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული იქნა იჯარის ხელშეკრულება N4, რომლის საფუძველზეც იჯარის ფორმით სარგებლობაში გადმომეცა სოფელ ყუმისთავში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაზედაც მხარეთა შორის განისაზღვრა შესასრულებელი ვალდებულებები, კერძოდ საიჯარო ქირის გადახდა და ასევე ამ ნაკვეთზე ტურისტული დატვირთვისთვის ფუნქციონირებადი ობიექტის მოწყობა.

საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების გამო, ვგულისხმობ ახალი კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში არსებული საგანგებო რეგულაციების პირობებში, ბუნებრივია შეიქმნა ფორსმაჟორული სიტუაცია, რაც გათვალისწინებული არის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე–9 მუხლში. აქვე აღვნიშნავ რომ ჩვენის მხრიდან პანდემიის გამო შემოღებული საგანგებო მდგომარეობის და შეზღუდვების გამო, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე დაუყოვნებლივ იქნა საქმის კურსში ჩაყენებული შესაბამისი სამსახური. უფრო სწორი იქნება ვთქვათ რომ თავად ამ სამსახურის მიერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია ჩვენთვის რომ შეგვეჩერებინა ყველანაირი საქმიანობა პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე.

დღეისათვის არსებული ვითარებით კლავ შეუძლებელია განხორციელდეს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. აქედან გამომდინარე და ხელშეკრულების მე–9 მუხლის მე–4 და მე–5 პუნქტების საფუძველზე, მიგვაჩნია რომ უნდა გადაიხედოს სახელშკრულებო ვალდებულების /მათ შორის საიჯარო ქირის გადახდის/ შესრულების ვადები ფორსმაჟორული გარემოებების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ასევე მოხდეს შეჩერებული დროის პერიოდით ვალდებულებების შესრულების და ხელშეკრულების ვადის გადაწევა.

აქვე აღვნიშნავთ რომ ჩვენის მხრიდან გვაქვს სურვილი და მზაობა, შეზღუდვების მოხსნის შემდგომ სრულად და ზედმიწევნით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები.

პატივისცემით ,

ავთანდილი დვალიშვილი

22.12.2020წ

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482102598**
თარიღი: **25/01/2021**
პინი: **9891**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 22 დეკემბერს ავთანდილ დვალიშვილმა განცხადებით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვს გადაუვადოთ საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა №4 ხელშეკრულება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ყუმისთავში გარე ვაჭრობისათვის 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ 10 წლის ვადით. ხელშეკრულების თანახმად „მოიჯარე" წლიურ საიჯარო ქირას 17579.880 ლარს იხდის ნაწილ-ნაწილ წლის განმავლობაში სამჯერ 5859,96 ლარის ოდენობით.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ №4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი ჩანაწერით:

1) ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

$2.2.^1$ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2020 წლის 30 ნოემბრამდე გადასახდელი 2020 წლის საიჯარო ქირის გადახდა (17 579.880 ლარი) და პირგასამტეხლო 2021 წლის 20 იანვრის მდგომარეობით 2686,99 ლარი, გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს ერთჯერადად 2021 წლის 30 აგვისტომდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დარიცხვა.

118

2) ხელშეკრულების მეექვსე მუხლს დაემატოს $д^1$ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მოიჯარე“ ვალდებულია უძრავი ქონება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2021 წლის 30 აგვისტომდე გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით საკუთარი ხარჯებით განათავსიოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა ნაგებობა (ჯიხური, დახლი) რაც არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს და მოახდინოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ №4 ხელშეკრულებაში ზემოთ მითითებული პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM

119

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 29 იანვრის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482102598; 25/01/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ავთანდილ დვალიშვილის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: 1) ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1]პუნქტი: „2.2.[1]ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2020 წლის 30 ნოემბრამდე გადასახდელი 2020 წლის საიჯარო ქირის გადახდა (17 579.880 ლარი) და პირგასამტეხლო 2021 წლის 20 იანვრის მდგომარეობით 2686,99 ლარი, გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს ერთჯერადად 2021 წლის 30 აგვისტომდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დარიცხვა. 2) ხელშეკრულების მეექვსე მუხლს დაემატოს დ[1] პუნქტი შემდეგი სახით: მოიჯარე ვალდებულია უძრავი ქონება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2021 წლის 30 აგვისტომდე გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით საკუთარი ხარჯებით განათავსოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (ჯიხური, დახლი), რაც არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს და მოახდინოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ, ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 25 იანვრის N48-482102598 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

7 8

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482102598; 25/01/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ავთანდილ დვალიშვილის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბრს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: 1) ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1]პუნქტი: „2.2.[1] ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2020 წლის 30 ნოემბრამდე გადასახდელი 2020 წლის საიჯარო ქირის გადახდა (17 579.880 ლარი) და პირგასამტეხლო 2021 წლის 20 იანვრის მდგომარეობით 2686,99 ლარი, გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს ერთჯერადად 2021 წლის 30 აგვისტომდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დარიცხვა. 2) ხელშეკრულების მეექვსე მუხლს დაემატოს დ[1] პუნქტი შემდეგი სახით: მოიჯარე ვალდებულია უძრავი ქონება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2021 წლის 30 აგვისტომდე გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით საკუთარი ხარჯებით განათავსოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (ჯიხური, დახლი), რაც არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს და მოახდინოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დავლიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 25 იანვრის N48-482102598 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

121

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კომისიის თავმჯდომარე — ფერმან შალამბერიძე